კონკურსი ახალგაზრდა არქიტექტორებისთვის - “თბილისური ეზოების” პროექტი

კომპანია “სფერო ჰოლდინგი” დაარსების დღიდან საქართველოს ბაზარზე წარმატებით მოღვაწეობს. “სფერო ჰოლდინგი” არაერთი უნიკალური და მასშტაბური პროექტის ავტორია სამშენებლო-დეველოპერული მიმართულებით, მათ შორისაა ორი ეროვნული მოცულობითი და მნიშვნელოვანი პროექტი. ერთი მათგანი საქართველოს მასშტაბით დაუსრულებელ მშენებლობებს ე.წ ბეტონის ჩონჩხებს ეხება და მეორე თბილისის ძველი და ისტორიულად მნიშვნელოვანი უბნის “ძველი თბილისის” საუკუნოვანი სახის შენარჩუნებას, რომელიც ძველი თბილისის ყველა უბანს მოიცავს, რის გამოც საზოგადოებაში ის “საუკუნის პროექტად” არის ცნობილი.

“თბილისური ეზოების” პროექტი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს პატრონაჟით ხორციელდება, რაც უდიდეს პასუხისმგებლობასთან ერთად გულისხმობს იმას, რომ “თბილისური ეზოების” პროექტის ფარგლებში ნებისმიერი დაგეგმვითი სამუშაო უნდა შეთანხმებულ იქნას საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან. განსახორციელებელი პროექტი უნდა შეესაბამებოდეს ძველი თბილისის კულტურული განვითარების გეგმას.

“თბილისური ეზოების” მასშტაბურობიდან გამომდინარე, დაგეგმილია პროექტის ეტაპობრივი განხორციელება. საწყის ეტაპზე ძველ თბილისში მდებარე სრულად დანგრეული შენობა-ნაგებობების დემონტაჟი და მათ ადგილას ახალი შენობების მშენებლობაა დაგეგმილი ძველი თბილისისთვის დამახასიათებელი სტილისტიკის და არქიტექტორული ნორმების დაცვით.

კომპანია “სფერო ჰოლდინგმა” გადაწყვიტა შანსი მისცეს ნიჭიერ ახალგაზრდა და მოტივირებულ არქიტექტორებს თავიანთი ნიჭის გამოსავლენად. კომპანია აცხადებს არქიტექტორების ღია კონკურსს. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია გამოაგზავნოთ ესკიზი “თბილისური ეზოების” თემატიკაზე. კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად გამოვავლენთ გამარჯვებულ პროექტებს და მათ ავტორ-არქიტექტორებთან ერთად დავიწყებთ ამ მასშტაბურ პროექტზე მუშაობას.

გამოსაგზავნი მეილი: sferodevelopment@sferoholding.ge